საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1436-03
03/07/2017

“2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ'' ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 19 ივნისის N1386-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადოქტორო საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 19 ივნისის N1386-03 ბრძანების მე-15 პუნქტში, 25,26 სექტემბრის ნაცვლად ჩაიწეროს 21,22 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „15. გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება მოხდეს 21,22 სექტემბერს, 18:00 საათამდე, უნივერსიტეტის კანცელარიაში (მის: ჩოლოყაშვილის 3/5).“

2. შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 19 ივნისის N1386-03 ბრძანების მე-16 პუნქტში, 27 სექტემბრის ნაცვლად ჩაიწეროს 25 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „16. სააპელაციო კომისიების წინაშე გასაუბრება ჩატარდეს 2015 წლის 25 სექტემბერს.”

3. შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 19 ივნისის N1386-03 ბრძანების მე-17 პუნქტში, 29 სექტემბრის ნაცვლად ჩაიწეროს 27 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „17. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლას დაევალოს 2017 წლის 27 სექტემბერს ჩასარიცხ კანდიდატთა საბოლოო სია, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.“

4. შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 19 ივნისის N1386-03 ბრძანების მე-18 პუნქტში, 2 ოქტომბრის ნაცვლად ჩაიწეროს 28 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„18. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადოქტორო საფეხურზე ჩასარიცხი კანდიდატები სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ 3/5, E კორპუსი, ოთახი E303, 2017 წლის 28 სექტემბერს და თან უნდა იქონიონ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები:
ა)პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი);

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებული პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის (ორიგინალი);

გ)ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატი TOEFL (P/B 513-547p)(I/B 65-78p), IELTS(5.5-6p), FCE) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)(ორიგინალი);

დ) საქართველოში ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, დიპლომი და ცნობა პროგრამის განხორციელების ოფიციალური ენის შესახებ (ორიგინალი);

ე)იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ (ორიგინალი);“

5. შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 19 ივნისის N1386-03 ბრძანების მე-19 პუნქტში, 6 ოქტომბრის ნაცვლად ჩაიწეროს 29 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„19. ბიზნესის სკოლას დაევალოს 2017 წლის არაუგვიანეს 29 სექტემბერს მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება და წარმოადგინეს ამ ბრძანების მე-18 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად.“

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის სკოლას, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი